# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 309

“ 15 ” აგვისტო 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შარდენის ქუჩაზე მდებარე 606 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.038) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ქართული ტრადიციების აღორძინების საზოგადოება დამიანესთვის“ (ს/კ 201990453) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, შარდენის ქუჩაზე მდებარე 606 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.038) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ქართული ტრადიციების აღორძინების საზოგადოება დამიანესთვის“ (ს/კ 201990453) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 26 ივლისის №27.21.556 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, შარდენის ქუჩაზე მდებარე 606 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.038) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ქართული ტრადიციების აღორძინების საზოგადოება დამიანესთვის“ (ს/კ: 201990453) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი